



07 აგვისტო 2024



N 21/8337

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6687 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში გამავალი 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის – „იფარის“ გაყვანას (№55-56 და №66-74 საყრდენებს შორის არსებული მონაკვეთების რეკონსტრუქცია).

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაზე თანდართული ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შესაბამისობის შეფასების (ზზშ) ანგარიშში არ არის სათანადოდ დასაბუთებული ზურმუხტის ტერიტორიაზე გავრცელებულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება. შესაბამისად, საჭიროა, წარმოდგენილ იქნეს განახლებული დოკუმენტი, სადაც სხვასთან ერთად, ასახული იქნება ზურმუხტის ტერიტორიაზე არსებულ და სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, განსაკუთრებით, ფრინველებთან მიმართებით. ამასთან, მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს დაკვირვება ფრინველების სიკვდილიანობაზე (როგორცაა მაგალითად ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა და სხვა), საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შემარბილებელი, თუ სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- სკრინინგის განცხადებას თან ერთვის ქვემო სვანეთისა და ლენტეხის დამაკავშირებელი მთლიანი ელექტროგადამცემი ხაზის (ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტია) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და ინსპექტირების ანგარიში, თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხდება უშუალოდ საპროექტო მონაკვეთებში გათვალისწინებული საყრდენების (საპროექტო 7 საყრდენი) სამშენებლო მოედნებზე გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირება. შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უნდა აისახოს მხოლოდ სარეკონსტრუქციო მონაკვეთების ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო საყრდენების განთავსების ადგილებში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის შედეგები;
- დოკუმენტის სხვადასხვა გვერდზე, ასევე მე-8 თავში (ნარჩენების მართვის გეგმა), აღნიშნულია, რომ 110 კვ. ძაბვის ეგხ „იფარის“ №55-56 და №66-74 საყრდენებს შორის მონაკვეთების რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მიზნით მომზადებულია ნარჩენების მართვის გეგმა, ხოლო 6.12 თავში მითითებულია, რომ პროექტის

ფარგლებში გათვალისწინებული არ არის 120 კილოგრამზე მეტი სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში თავისუფლდება „ნარჩენების მართვის გეგმის“ მომზადებისგან. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



<https://edocument.ge/mea/public/#/8337-21-2-202408071520>

